რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი

ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა კითხ. გამავრცელ. საზ." წიგნის მაღაზიას.

# ცნობის

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.

ადრესი
Тифлисъ, Фрейлинская № 13
Редакція „Цнобисъ Пурцели".

## გაზეთის ფასი ამ წლის დამლევამდე ერთი მანეთი

ქართული თეატრი
კვირას, 17 ნოემბერს, 1896 წელს,
დანიშნული

## ვალერიან გუნიასი

უკანასკნელი, გამოსათხოვარი წარმოდგენა:

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასისაგან, ქალბ. მ. საფაროვისა, ეფ. მესხისა, ჩერქეზიშვილისა და ბ-ნთ კ. ყიფიანის, ვ. აბაშიძის, კ. მესხის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება:

I

**ჰოლეცი და კოროლი**

დრამ. ეტიუდი ერთ მოქმ.

II

**პირველი ბუზი**

კომ. 3 მოქმ. ვ. ველიჩკოს პიესიდგან გადმოკეთებული.

III

**ადვოკატთან**

ვოდ. 1 მოქმ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
**ადგილების ფასი ჩვეულებრივია**
დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი. რეჟისორი: ვ. ალექსი-მესხიშვილი.





**პანცერი და გლუხოვსკი**
ტფილისი, სასახლის ქუჩა, სარაჯევის სახლი (ეზოში).
ახლად გაღებულ ქარხნის საწყობი
**საკერავი მაშინებისა**
ნამდვილის **ზინგერ-ნაუმანის** და სხვა გამოჩენილ სისტემის მაშინები: ოჯახებისათვის და ხელოსნებისათვის. ფასები ქარხნისაა. (15—ფ.—1).

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—2 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**მქ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

**ი. ф. ზრიცასკვიჩი**. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

**ა. მ. ზუგინოვი**. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

**ა. ზ. კარაპეტიანცი**. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. ზრიცასკვიჩი**. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. მ. ზუგინოვი**. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ა. გ. გურკო**. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.** (წ)

მიიღება ხელის-მოწერა

დამდეგის 1897 წლისათვის

ახალ ქართულ ყოველ-დღიურ გაზეთ

## „ცნობის ფურცელზე"

---

ხელის-მომწერთა საყურადღებოდ

ვინც დამდეგის წლისათვის გაზეთს ამ თავითვე წლიურად დაიკვეთს, იმას **გაზეთი უფასოდ გაეგზავნება ამ წლის დამლევამდე.**

**წლიურ ხელის-მომწერთ**

გაზეთთან ერთად დაეგზავნება **უსასყიდლოდ** ამ წლის დეკემბრის თვიდან:

## საქართველოს კალენდარი 1897 წ.

კალენდარი დასურათებულ იქნება მრავალგვარ ნახატებით და ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა სურათებით. კალენდარი შეიცავს 500-ზე მეტს გვერდს დიდის ზომისას.

## „ცნობის ფურცელი"

გამოვა

ყოველ-დღე, კვირა-უქმეების შემდგომაც, უფრო დიდის ზომისა.

გაზეთის ფასი: წლიურად 6 მან., ნახევარის წლით 4 მან. (სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება)

**თითო ნომერი ღირს ყველგან 3 კაპ.**

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ—5 კაპ.

## შეღავათი ხელის მომწერთათვის

იმ ხელის მომწერთა, რომელთაც წლიურ ფასის სრულად შემოტანა გაუძნელდებათ, რედაქცია შეღავათს აძლევს: **ხელის მოწერის დროს 2 მან. წარმოადგინონ და მერე ყოველ თვე-და-თვე თითო მანათი, ვიდრე წლიურ ფასს შეასრულებდნენ.**

ადრესი რედაქციისა:

ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.

Тифлисъ, Фрейлинская, № 13..
Редакція „Цнобисъ Пурцели".

რედაქტორ-გამომცემელი **ვალერიან გუნია.**

სათავად-აზნაურო თეატრი
დღეს, 16 ნოემბერს,
აჩვენებენ განთქმულს მთელს ევროპაში
# კინემატოგრაფს
ცხოველი ფოტოგრაფიული სურათები
ლიუმიერისა (Люміера)
დასაწყისი 8 საათზედ.
ადგილების ფასი ძლიერ დაკლებულია.

# დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.

(„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“).

14 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე და დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული ყირიმიდან გატჩინოს დაბრუნდნენ.

უმაღლესი ბრძანება: გადაყვანილ იქმნა საიუსტიციო დაწესებულების სამსახურში დ. ს. ს. სალამონი საპყრობილეთა უმთავრეს მმართველობის უფროსად.

**მოსკოვი.** მეექვსე პარტია ჭადრაკზე ლასკერის და სტეინიცის შორის ერთს საღამოს ვერ გათავდა, მეორე საღამოს სტეინიცი არ გამოცხადდა, ამიტომ პარტია წაგებულად ჩაითვალა სტეინიცის მხრივ.

**ოდესსა.** მოვიდა გემი „სარატოვი“, რომელზედაც დიდძალი ბარგია და სხვათა შორის ის ინჟენერები, რომელნიც ჩინეთში იყვნენ გაგზავნილნი მანჯურეთის რკინის გზის გამოსაკვლევად.

**ბუდაპეშთი.** 13 ნოემბერს ყველა მინისტრების თანადასწრებით პალატაში ბჭობა დაიწყეს დეპუტატებმა. მინისტრ-პრეზიდენტმა აუწყა პალატას, რომ კოროლი პარლამენტის კრებას გახსნის საკოროლო სასახლეშიო. ამაზე დეპუტატმა კომპატიემ გამოაცხადა, რომ ჩვენი პარტია (მემარცხენე დასი) კრების გახსნას აღარ დაესწრება ოფენის სასახლეში, რადგან კრება უნდა გაიხსნას პარლამენტშიო და საკოროლო სასახლეში შავ-ყვითელი დროშა ფრიალებსო. მინისტრ-პრეზიდენტმა უპასუხა დეპუტატს, რომ ეგ საბუთები შეუწყნარებელ არისო. უმრავლესობამ მოიწონა მინისტრის პასუხი და თანაგრძნობა გამოუცხადა ტაშის კვრით.

**რომი.** სერბიის კოროლი ჩამობრძანდა რომში სამეფო მატარებლით, რომელიც მთავრობამ დაახვედრა საზღვარზე. რკინის გზის სადგურზედ კოროლს ალექსანდრეს დაუხვდა კოროლი ჰუმბერტო. ორივე ხელმწიფენი გადაეხვივნენ და გადაკოცნეს ერთმანერთი მრავალჯერ, რის შემდეგ სერბიის საერო ჰიმნი დაუკრეს და საპატიო ჯარი დაათვალიერეს. მინისტრების წარდგენის შემდეგ ორივე ხელმწიფე ეტლში ჩაბრძანდა და გაემგზავრნენ კვირინალის სასახლეში, სადაც კოროლ ალექსანდრეს მიეგება დედოფალი მარგარიტა.

**რომი.** კოროლ ჰუმბერტომ უბოძა სერბიის კოროლს ნიშანი ხარებბოისა, სამხედრო მინისტრის ნიშანი წმ. მავრიკი—ლაზარესი პირველის ხარისხისა. ნაშუადღევს კოროლ გუმბერტოს დიდხანს ჰქონდა თათბირი სერბიის კოროლთან. საღამოს კვირინალში ნადიმი იყო გამართული სერბიის კოროლის პატივსაცემლად.

**ლონდონი.** ამბობენ, რომ მთავრობა მოსთხოვს პარლამენტს ხარჯის მომატებას მომქმედ ჯარისათვის.

**ლონდონი.** სამინისტროს ცნობა მიუღია ინდოეთიდამ, წვიმების შემდეგ ყველას იმედი მიეცა, რომ ჰირნახული და მოსავალი კარგი იქნებაო.

**ლონდონი.** სავაჭრო დეპარტამენტის პრეზიდენტმა რიტჩიმ სიტყვა წარმოსთქვა სავაჭრო პალატაში და აუწყა, რომ ამ წლის იანვრიდან ნოემბრამდე შემოტანილი საქონელი უფრო დიდია 15 მილიონ გირვანქა სტერლინგზედ, ვიდრე შარშანდელზედ, ხოლო გატანილი საქონელი მეტია 13 მილიონზეო.

**თეირანი.** სამინისტროს გამოცვლის შესახებ იუწყებიან, რომ უმაღლესი ვეზირის თანამდებობაზე ჯერ არავინ დანიშნულაო, ახალი მინისტრი გარეშე საქმეთა მაზონ-ხანი ელჩად არის ნამყოფიო.

**ტოკიო.** ფილიპის კუნძულებისაკენ გაემგზავრა იაპონეთის სამხედრო გემი. ხმა დადის, რომ კორეის არეულობა თან-და-თან ვრცელდება და ვითომც აჯანყებულებს გაუმარჯვნიათ და საშიშია, რომ მანილიას არ დაეცნენო.

15 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** ხმა დადის, რომ მომავალ წელს მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ სამაგიერო ვიზიტს გადუხდის საფრანგეთის ერის მაგიერ რესპუბლიკის პრეზიდენტი ფელიქს ფორი, რომელიც მობრძანდება პეტერბურგს აპრილის შუა რიცხვებში და გაჩერდება საფრანგეთის საელჩოში.

---

## თეატრის მატიანე.

### ქართული თეატრი ქუთაისში.

მოგეხსენებათ, ამ ორი წლის წინად, ქუთაისში არსებობდა ქართული დრამატიული დასი, რომელსაც განაგებდა ბ-ნი კ. ს. მესხი. ამ დასს არა ჰქონდა არც სუბსიდია, არც რეპერტუარი და არც დრამატიული საზოგადოება ჰყავდა ბატონ-პატრონად. ერთი სიტყვით, მხნე რეჟისორისა და დიდად ნიჭიერის არტისტის ქალის ეფემია მესხის და სცენის ზოგიერთ მოყვარეთა გარდა არა გაჩნდა-რა, მაგრამ მიუხედავად ამისა ქუთაისში ხუთი-ექვსის წლის განმავლობაში ყოველ კვირა იმართებოდა წარმოდგენები და სულ სხვა-და-სხვა პიესებს ორიგინალურს თუ ნათარგმნებს თამაშობდნენ.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, ბ-ნი კ. მესხი დღესაც არ უღალატებდა ამ საქმეს, დღესაც თავის სამშობლო ქალაქში ილვაწებდა, რომ ცეცხლს არ გაენადგურებინა თეატრის შენობა. დაიწვა თეატრი და მოისპო კიდეც ქართული წარმოდგენები ქუთაისში. გავიდა ორი წელიწადი და აი აგერ ქალაქმა ააშენა თეატრი. თეატრი ააშენეს, მაგრამ ქართულ წარმოდგენებს მაინც მოკლებულნი ვიყავით. სწორედ ცუდი ამბავი დაგვემართებოდა ქუთათურებს ზამთარში, რომ ქართულ დრამატიულ საზოგადოების მმართველობას თავის მოქმედება ქუთაისშიაც არ გაევრცელებინა. დღეს-კი ქუთაისში ქართული წარმოდგენები იმართება ბ-ნ ალექსი-მესხიშვილის რეჟისორობით. აქ ურიგო არ იქნება ორიოდე სიტყვით მოვიხსენიოთ ბ-ნი კ. ბაქრაძე, რომელიც გახლავთ სულის ჩამდგმელი ამ საქმისა. კ. ბაქრაძის მეცადინეობით შესდგა ქუთაისში კერძო განყოფილება ტფილისის დრამატიულ საზოგადოებისა და იმანვე ითავა ქართულ წარმოდგენების აბონემენტის გაჩაღება. ღმერთმა ჰქნას, რომ კოტე ბაქრაძეს ბევრი მიმბაძველი აღმოსჩენოდეს. მადლობის ღირსია აგრეთვე ბ-ნი სილოვან ხუნდაძე, რომელიც, რითაც შეუძლია, ეხმარება ამ კეთილ საქმეს.

პირველი ქართული წარმოდგენათ. ერისთვის „სამშობლო“-თი დაიწყო და საზოგადოებაც კარგა ბლომად დაესწრო. მეორეთ ითამაშეს გ. სუნდუკიანცის კომედია „ხათაბალა“ და მესამეთ-კი, წარსულ კვირას „ჟან-ბოდრი“ წარმოადგინეს. ჩვენ პირველ ორ წარმოდგენაზე არას ვიტყვით; „სამშობლოზე“ და „ხათაბალაზე“ ბევრი რამ თქმულა და დაწერილა. ჩვენი საბაასო საგანი გახლავს „ჟან-ბოდრი“. ეხლავე ვაუწყებ პატივცემულ არტისტებს, რომ ჩვენ ლაპარაკი გვექნება მხოლოდ მათს ღირსებასა და ნაკლულევანებაზედ და არა მათს პირადობაზე. ჩვენ გვსურს, რასაკვირველია, შეძლებისამებრ მადლიანი თამაში შევამკოთ და უხეირო ვაძაგოთ, კარგს კარგი და ცუდს ცუდი ვუწოდოთ. საფრანგეთის გამოჩენილი კრიტიკოსი სარსე ერთს თავის რეცენზიაში ამბობს: „თუ რეცენზენტმა არტისტის ხათრი დაიჭირა და ის არა სთქვა, რაც იმის თამაშს ეკადრება, იგი თავის საქმესაც ღალატობს და ვერც კარგს მეგობრობას უწევს ამით არტისტსაო“. მაშ ნურას უკაცრავად, ბატონებო, და ახლა-კი საქმეს შევუდგეთ.

„ჟან-ბოდრის“ ერთ დროს დიდი ამბავი ჰქონდა პარიზში. ამ პიესას თითქმის ერთის წლის განმავლობაში გამუდმებით ადგენდნენ ყოველ-დღე პარიზის ეგრეთ წოდებულ „ფრანგულ კომედიის“ თეატრში. თუ არ ვსცდები, ეს პიესა, თითქმის თხუთმეტი წელიწადია, მას აქეთ, პირველად კოტე მესხმა ჩამოიტანა პარიზიდამ, გადაათარგმნია ქართულად თავ. ივ. მაჩაბელს (მისი ნათარგმნი კი არ არის, როგორც აფიშაში იყო გამოცხადებული) და პირველად დაიდგა ტფილისის სცენაზე. მას აქეთია ტფილისში თუ ქუთაისში ეს პიესა ბევრჯერ უთამაშნიათ.

აი მოკლედ პიესის შინაარსიც: ჟან-ბოდრი—მდიდარი, გულ-კეთილი და ხანში შესული ადამიანი—(კ. ყიფიანი), სადღაც პარიზის ქუჩაზე შეხვდება მაწანწალა გაფუჭებულს ბალღს, ოლივიეს (კ. მარჯანიშვილი) აიყვანს, გაზდის, სწავლა-განათლებას მისცემს და ბოლოს ექიმად გამოიყვანს. რა თქმა უნდა, თავისი გაზრდილი ძლიერ უყვარს და არას ზოგავს მის საბედნიეროდ. ოლივიეს უყვარს მდიდარი ვაჭრის, ბრუელის ცქრიალა ქალი ანდრე (ნ. ჩხეიძისა). ანდრეს, თუმცა ძრიელ კრძალვით უჭირავს თავი, მაგრამ ახალგაზდა ლამაზ პარიჟელ ექიმს თანაუგრძნობს. დიაღ, საბრალო ოლივიეს უყვარს, მაგრამ ვერა ბედავს სთხოვოს მდიდარს სოვდაგარს ბრუელს „შენი ქალი მომეციო“. განგება ისე მოახდენს საქმეს, რომ ბრუელი გაკოტრდება, მთელ თავის საცხოვრებელს გამოესალმება, მოვალეები გარს-შემოესევიან და თავიანთ ფულებს სთხოვენ. სწორედ ამ დროს გაჩნდება კაცთ-მოყვარე ჟან-ბოდრი და დაპირებს თავის ფულით გაუსტუმროს ბრუელს მოვალეები, მაგრამ ამაზე ბრუელი უარს ამბობს, არა სთანხმდება. რომ აღარ იქმნა და ბრუელი ვერაფრით დაიყოლია, ჟან-ბოდრი ეუბნება, მე ვიცნობ ერთს მდიდარს კაცს, რომელსაც თქვენი ქალი მოსწონს და თუ იმას მიათხოვებთ, ყოველი თქვენი საქმე რიგზე მოეწყობაო... ხოლო ეს მდიდარი კაცი თვითონ ჟან-ბოდრია. ბრუელი და მისი ქალი ანდრე თანხმდებიან და ბოდრი შეირთავს ანდრეს. ოლივიემ ამ ამბისა არა იცის რა, მხოლოდ შეიტყო, რომ ბრუე-

# ახალი ამბავი

⁂ ამას წინეთ სახელოსნო გამგეობამ გარდასწყვიტა, რომ ყველა ხელოსანმა, რომელიც კი აიღებს თავის ხელობის მოწმობას, უნდა გარდაიხადოს 25 მან. და 50 კაპ., ძველმა ხელოსნებმა, რომელთაც არ გაუტანიათ მოწმობანი და მუშაობენ კია, უნდა გაიტანონ მოწმობა და გარდაიხადონ 7 მან. და 50 კაპ. ხოლო ეგრეთ წოდებულმა ქარგლებმა უნდა გარდაიხადონ 15 მანათი. ბ-მა გუბერნატორმა, მოისმინა რა ეს გადაწყვეტილება სახელოსნო გამგეობისა, მიჰმართა ბ-ნს ქალაქის თავს საკითხით მასზედ, თუ რამდენად მოსახერხებელია ამ გარდასახადების შემოღებაო. ქალაქის თავის მოადგილემ ბ-ნმა ივანენკომ წარუდგინა ბ-ნს გუბერნატორს თავისი შეხედულება ამ საქმის შესახებ და ჰფიქრობს, რომ ეს გარდასახადი მეტად გაზვიადებულიაო და არც ყველა ხელოსანს შეუძლიან მისი გასტუმრებაო. 25 მ. და 50 კ. თუ მოსახერხებელია მოდების მკერავოსტატისათვის, ძლიერ გასაჭირად უნდა ჩაითვალოს მხატვრისა და ჩალინგდარისთვის, რომელნიც ერთათად ნაკლებ მოგებას იღებენ თავიანთ ხელობიდამაო. ბ-ნ ივანენკოს აზრით, გარდასახადი უნდა შეთანხმებულ იქმნას ხელოსანთა შემოსავალთანო. რაიცა შეეხება ქარგლებს, იგინი სრულებით უნდა განთავისუფლებულ იქმნან ამ ხარჯიდამაო.

⁂ რადგანაც ბელგიელთა საზოგადოების ვაგონები ბევრს უკმაყოფილებას იწვევდა, როგორც მოგზაურთა მხრივ, აგრეთვე საბჭოს მხრივაც, ამიტომ ცხენის რკინის გზის მაყურებელმა კომისიამ წინადადება მისცა ხსენებულ საზოგადოების მართველობას, რომ ეს ვაგონები შეცვლილ იქმნეს ახალის სისტემის ვაგონებით, თანაც გაუგზავნა ტეხნიკების მიერ შედგენილი გეგმა ვაგონებისა. ამ დღეებში საზოგადოების გამგეობამ აცნობა თავმჯდომარეს დასახელებულ კომისიისას, რომ ვაგონები უკვე მზად არის და გასინჯეთ, რომ გამოვიტანოთ ლიანდაგზედ სამუშაოთაო. ქალაქის გამგეობამ ვაგონების გასინჯვა დანიშნა სამშაბათს, 19 ნოემბერს. გასინჯვაზედ დაესწრება ეგრეთვე ქალაქის ინჟენერი ბ-ნი ძერჟანოვსკი.

⁂ წარსულ კრებაზედ, 11 ნოემბერს, საბჭომ დაადგინა იჯარით გასცეს ვერის ხიდის შემოსავალი წელიწადში 10,500 მანეთად. გამგეობას უნდოდა კიდეც შეეკრა ქალალდი იჯარადარ ივანოვთან, მაგრამ დაბრკოლება დახვდა მასში, რომ აღმოჩნდნენ ახალი იჯარადრები, რომელთაც წაუმატეს 200 მანეთი. ამის გამო, უეჭველია, გამგეობა კვლავ შეეკითხება საბჭოს.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა ამ დღეებში მისწერა მოქალაქეთა გამგეობას, რომ მოქალაქეთა „დეპუტატების“ არჩევანი უსათუოდ 15 ნოემბრამდე გაათავეთო და შეუდექით მოქალაქეთა სტაროსტას არჩევანსაო. მოქალაქეთა გამგეობამ ეს ბრძანება ვერ შეასრულა და დეპუტატთა არჩევანი ამ თვის ბოლომდე გასტანს და მერე წარედგინება დეპუტატთასია გუბერნატორს დასამტკიცებლად.

⁂ ხმა დადის, რომ ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორი ბ-ნი ივანოვი ინიშნება ტფილისისავე სამოსამართლო პალატის პროკურორის ამხანაგად, ხოლო ოლქის სასამართლოს პროკურორის თანამდებობაზედ გადაჰყავთ ბაქოს ოლქის სასამართლოს პროკურორი ბ-ნი ბაჟანოვი. («ნოვ. ობოზრ.»)

⁂ დღეს სათავად-აზნაურო თეატრში წარმოდგენაა დანიშნული კინემატოგრაფისა, რომელიც ცხოველ სურათად დაანახვებს მაყურებელთ ფოტოგრაფიულ ნახატებს. სიცხოველე იმაში მდგომარეობს, რომ სურათები მიმოძრაობენ. ამ უკანასკნელმა გამოგონებამ ლიუმიერისამ მთელი ევროპა მოივლო და ყველგან ძალიან მოსწონებია საზოგადოებას.

⁂ ამავე გაზეთს სწერენ ქ. თელავიდან: ამ თვის 10-სა ღამით ვიღაც ბოროტ მოქმედებს გაუქურდავთ თელავის საკათედრო სობორო, მოუპარავთ მრავალი ძვირფასი განძი 1000 მანეთამდე ღირებული. სხვათა შორის მოპარულია სამი ჯვარი და სამი ბარძიმ-ფეშხუმი. ერთი მათგანი შესანიშნავი ნაკეთობისა და ხელოვნებისა ყოფილა თურმე და ამ საუკუნის დასაწყისში შეუწირავს ეკკლესიისათვის თავ. ამბაკო ჭავჭავაძეს. მოპარულია აგრეთვე ფული, რომელიც სხვა-და-სხვა შესაწირავ ყუთებში ინახებოდა. ბოროტ მოქმედნი სობოროში შესულან კარებიდან, რომლის კლიტე ჩაუმტვრევიათ. ჯერ-ჯერობით ქურდები არ არიან აღმოჩენილი, ხოლო შეიპყრეს ეკკლესიის ყარაული, რომლის მოვალეობა ყოფილა ყოველ ღამე ედარაჯნა ეკკლესიისათვის, მაგრამ იმ ღამეს თურმე სახლში სძინებია. დაუჭერიათ აგრეთვე ერთი საეჭვო კაცი, რომელიც შენიშნული ყოფილა წინედ ქურდობაში.

საკვირველი ის არის, რომ თურმე, ხატებისათვის ხელი არ უხლიათ ქურდებს, თუმცა ზოგი ერთი ხატები მეტად ძვირფასი ყოფილა.

⁂ ტფილისის მეფურნეები დიდი ხანია სთხოვენ ქალაქს, რომ ნიხრი

---

ლი გაკოტრდა და სიხარულით გამოექანება ანდრესთან და ეტყვის: ეხლა მამაშენი მდიდარი აღარ არისო, ეხლა სრული ბედნიერი ვარ, ეხლა-კი თამამად შემიძლიან შენი თავი ვთხოვო მამაშენსაო! სულის დამატკბობელის პასუხის ნაცვლად, ოლივიე გაიგებს გულის გამგმირავს ამბავს: მე უკვე სხვას ვეკუთვნიო და ეგ სხვა თქვენი ამზრდელი, თქვენი პატრონი ჟან-ბოდრი არისო, ეუბნება ანდრე. აი, სწორეთ აქ აქვს არტისტს შემთხვევა თავის სულის ვითარება და გულის დუღილი მაყურებელთ თვალ-წინ დაუყენოს. ჩვენ ვნახეთ ბატ. მარჯანიშვილი, ოლივიე, როცა იგი პირველად სცენაზე გამოვიდა და უნდა გამოვტყდეთ, რომ იმ მიხვრა-მოხვრას, იმ ტკბილ ლაპარაკის კილოს და იმ „შიკ“,—რომელიც თითქმის ყოველ ახალგაზდა პარიზელს სჩვევია ხოლმე, ბ-ნი მარჯანიშვილი სრულიად მოკლებული იყო და მაყურებელთ თვალ-წინ წარმოუდგათ ჯერ სულ ბავშვი, რომელიც ჯიუტობს და იბუტება: მე ექიმობა აღარ მინდაო.—რატომ? ტყუილი კითხვაა—არც მიმიკა, არც მიხვრა-მოხვრა და არც თავის დაჭერა არაფერს გეტყვით. ჩვენ გვინახამს ამ როლში ბატ. მესხი და კიდევ სხვებიც და სრულებით სხვა შთაბეჭდილება მიგვიღია. მაგალითად, მესხი სიტყვების გარდა თავის სახის და თვალების მეტყველებით თითქოს გეუბნებოდათ, თუ რისთვისაც ვტოვებ ექიმობასაო. ჩემის აზრით, დრამაში არტისტმა მარტო სიტყვებს როდი უნდა დაატანოს ძალა. მომქმედი პირის სულის ტკივილი, გულის შფოთვა და ღელვა, არტისტის სახით და თვალით—მიმიკით უნდა გამოხატოს. მივყვეთ ბატ. მარჯანიშვილს იმ ალაგას, სადაც იგი ჩუმათ მიიპარება, შედის შუაღამისას ჟან-ბოდრის სახლში და იმის ცოლის ოთახის კარებს თითს მიარაკუნებს და ეუბნება: ანდრე, მე ვარ და კარი გამიღეო და თავის სატრფოს ანდრეს მაგივრად კი თვით ჟან-ბოდრი შეეფეთება. აქ არ შეგვიძლია არ ვუსაყვედუროთ ბატ. მარჯანიშვილს და ნამეტნავათ კი მის მწრთვნელს რეჟისორს: თუ ვინმე ჩუმათ სადმე მიდის, ვისმე მალულათ კარებს უკაკუნებს, რაღა თქმა უნდა, რომ იგი ფთხილათ მოდის ფეხ-აკრეფით და ნელა, კრძალვით კარებს მიაკაკუნებს. ეს ისეთი მარტივი ჭეშმარიტებაა, რომ ბავშვი რა არის, ბავშვმაც კა იცის—ბატ. მარჯანიშვილი კი ყვირის და რაც ღონე აქვს, კარებს არახუნებს..

დიახ, ანდრეს მაგივრად ბოდრი შეხვდება, რომელიც უგვანს საქციელს უსაყვედურებს თავის შვილივით აღზრდილს ოლივიეს. აქ არტისტს ჰმართებს თავის ხელოვნების გამოჩენა და ბ. მარჯანიშვილი-კი შეზარხოშებული პარიზელი „ფშუტივით“ ჯერ აქეთ იქით ქანაობს, შემდეგ უცნაურად შეჰკივლებს და ბოდრის თავში სკამის დათხლეშას უპირებს! ოლივიე და სკამის დათხლეშა?! ნეტა ვინ ასწავლა ბატ. მარჯანიშვილს, ამ ალაგას აიღე და ბოდრის სკამი დასცხე თავშიო?!! ერთი შენიშვნა კიდევ. ჩვენ ვურჩევთ ბ. მარჯანიშვილს, სცენაზე ქართულ ლაპარაკს კათოლიკურ კილოს ნუ აძლევს—მაყურებლის ყურთა სმენას ჰღლის. სწორედ დიდი ბედნიერებაა არტისტისათვის, როცა იმას მიმადლებული აქვს ისეთი მშვენიერი მიმიკა, მიხვრა-მოხვრა, ხელოვნური მიმოძრაობა და სიდინჯე-დარბაისლობა, როგორც კ. ყიფიანსა. მშვენიერი რამ იყო ჟან-ბოდრის როლში, როცა იგი თავის საყვარელს ოლივიეს დაიჭერს ლალატობაში.

ოღონდაც რომ მშვენიერი და შეუდარებელი იყო, მაგრამ რა იქნებოდა, იმ დალოცვილს მკაფიო და მეტყველი ენა შეეფერებინა იმ საუცხოვო გარეგნობასთან!

ანდრე (ქ-ნი ჩხეიძისა) ძრიელ კეკლუცი და ლამაზი სჩანდა სცენიდამ, მაგრამ ნუთუ რეჟისორმა არ იცის, რომ ანდრეს როლი ჩხეიძის ქალის ამპლუა არ არის და განა დანაშაულება არ არის, ისეთ ახალგაზდა და გამოუცდელი მოთამაშე შეუსაბამ როლებში გამოუშვან? ბალანჩივაძემ სინიდისიერად შეასრულა თავის როლი, მაგრამ გრიმი ვერ ჰქონდა, როგორიც რიგია და მოხუცი კაცის როლში ძრიელ ახალგაზდა სჩანდა, რაიცა დიდად აბრკოლებდა ილუზიას. ბ-ნ ნემოს (ვინმე მოვახშე) ჩვენ უნდა მოვახსენოთ, რომ აქაო და ტაშის-დაკვრა მივიღოო და სცენაზე ვიმასხროვო—ვერაფერი არტისტობა გახლავსთ. არც ის ვარგა, რომ ევროპიულ პიესაში ლაპარაკს სომხური კილო მიეცეს. დასასრულ უნდა ვსთქვათ, რომ ხალხი ნაკლებად დაესწრო ამ წარმოდგენას. ერთი შენიშვნა კიდევ. ზევით, ქანდარაზე, ზოგიერთები მეტად უწესოდ იქცეოდნენ, რამაც ბევრზე მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა... ღმერთმა აშოროს ჩვენი თეატრი ყოველ უწესოებას! კარგი იქნება ბ-ნ გამგებლებმა ყურადღება მიაქციონ შემდეგ ურიგობას: აიხდებოდა თუ არა ფარდა, კასსასთან შემოსასვლელი კარები წამ-და-უწუმ იღებოდა, თითქოს ქუჩა ყოფილიყო, ხმაურობამ სწორეთ ილაჯი წაიღო, და მაყურებელთ არ შეეძლოთ თავისუფლად ყური დაეგდოთ წარმოდგენისათვის.

ატოს

პურზედ გაადიდოს, ხოლო ქალაქის გამგეობას ეს თხოვნა შესაწყნარებლად არ მიაჩნია და ამ თხოვნას უყურადღებოდ სტოვებს. ეხლა მეფურნეები ქალაქის გამგეობის გამოჯავრებული ყოვლად უვარგისს პურს აცხობენ, ჯანმრთელობისათვის მავნებელს (მაგ. კუკიაში). ეს კარგია, რომ ქალაქის გამგეობა მეფურნეთ და სხვა მოვაჭრეთ ქალაქის მკვიდრთ არ აჩაგვრინებს და ნიხრს ვაჭრების თხოვნით და მათ სასარგებლოდ არ ნიშნავს, მაგრამ იმასაც ყურადღება უნდა მიაქციოს, ბაზარში რა გვარი საქონელი ისყიდება. ნუ თუ არ შეიძლება ადამიანის პირველი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელ საგნების ვაჭრობაში წეს-რიგის შემოღება?

*** ჩვენ გვთხოვენ ყურადღება მივაქციოთ, ვისიც ჯერ არს, შემდეგ უწესოებას. ყოველ საღამოს ყასპების წინ შეხვდებით ურმებს, რომლებითაც ქალაქის საყასპოდგან ყასპებს ხორცი მოაქვთ. ხორცს ურმიდგან ნაჭერ-ნაჭერ ისვრიან და ასე შეაქვთ მუშებს დუქანში. ამ დროს გამვლელებს მუდამ სისხლით სვრიან ხოლმე, მეტადრე იარმუკაზედ, სადაც ბევრი ყასბის დუქანია და ხალხიც მუდამ ბევრი დადის. საჭიროა დაწესებულ იქმნას, რომ ხორცი დუქანში გოდრებით ან კალათებით შეიტანონ. აგრეთვე კარგი იქნებოდა, რომ მეტი ყურადღება მიექცეს თვით ურმების სისუფთავეს და საყასპოდგან ქალაქამდე ხორცის შემოტანის წესიერებას, თორემ ჭუჭყიან ურემზედ ჭუჭყიანი სახურავი და ზედაც კიდევ მეურმე და ყასაბი ისეთი სანახავია, რომ შეგეზიზღებათ, გზაში რომ შეგხვდეთ.

*** მეტეხის აღმართი რომ იწყება, იქვე კიდევ ერთი ვიწრო ქუჩა, უფრო კი ბილიკი აღმაცერად ადის ავლაბრისაკენ. ეს ბილიკი შესამჩნევად ამოკლებს გზას; ამიტომ ამ გზით აუარებელი ხალხი დადის და სხვათა შორის სხვა-და-სხვა სასწავლებლის მოწაფენიც. ეს ქუჩა-ბილიკი არას დროს არ იგვება და არ იწმინდება, ამიტომ ადვილი გასაგებია, რა უსუფთაობა სუფევს აქ. ავდარის დროს აქ სიარული ძალიან ძნელია და გასაჭირი, ბევრს ფეხი უსხლტება და ძირს ეცემა. ეს გზა ან სულ უნდა დაიხუროს და კიბეკიბები დააკეთონ და დრო გამოშვებით, როგორც სხვა ქუჩები, დაიგავოს ხოლმე.

*** ინჟენერ ბალინსკის ამბავი. ამას წინად ჩვენ ვაუწყეთ მკითხველებს, რომ ყარსის რკინის გზის ინჟენერ ბალინსკის ყაჩაღები დაეცნენ და გაძარცვას უპირებდნენ. გამოძიებამ აღმოაჩინა ეხლა, თუ დაწვრილებით როგორ მოხდა ეს საქმე და ვინ იყვნენ ავაზაკნი. 3 ნოემბერს, საღამოს ექვსი საათი, თუ ცოტა მეტ-ნაკლები, იქნებოდა, რომ სოფელ სადახლოს ახლო, ბორჩალოს მაზრაში, ორი შეიარაღებული მხედარი თავს დაესხა ინჟენერ ბალინსკის, რომელიც ტფილისიდამ მოდიოდა და თან 10,000 მანათი მოჰქონდა ტფილისის ხაზინიდან წინადღეს მიღებული. ახლა პოლიციამ შეიპყრო ისინი. გამოძიების სიტყვით ესენი არიან: აზნაური სპირიდონ იშხნელი, რომელიც დროებით სცხოვრებდა ს. შულავერში და მკვიდრი იმავე სოფლისა ოვაქიმ ანტონოვი.

*** ოთხშაბათს, 20 ნოემბერს, დანიშნულია ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების კრება. ეს კრება, სხვათა შორის, განიხილავს გამგეობის მოხსენებას საზოგადოების მიერ გამართულ პირუტყვთა სამკურნალოს გადიდების შესახებ.

*** იუზეფ დრევნიცკი, რომელიც ამ ჟამად ტფილისში იმყოფება, კვირას, ნოემბრის 17-ს, ჰაეროსტატით ავა ტფილისის საველოსიპედო მოედნიდან და პარაშუტით ჩამოეშვება.

*** ნიკიტინის ცირკის ჩამოსვლის შემდეგ სურის ცირკში აღარავინ დაიარებოდა და ამის გამო სური თავისის ცირკით ბათუმში წავიდა. ტფილისში ბ-ნმა სურმა კარგად იზარალა.

---

## პოლიციის მატიანე

13 ნოემბერს, ღამე, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა ქარვასლაში, ვაჭარის ბოზარჯიანცის მაღაზიის კარი გასტეხეს და მოიპარეს 428 მანათი, ექვსი ვერცხლის კოვზი და სხვა ნივთები, სულ 668 მანათისა. გამოძიება სწარმოებს.

---

## თეატრის მატიანე

ოპერა. დიდი ხანია ისეთი სიამოვნებით არ მოგვისმენია ჩვენს ქალაქში ოპერა, როგორც ხუთშაბათს, ახალს თეატრში. წარმოდგენილი იყო ვერდის ოპერა «ტრუბადური“. ეს ოპერა ძველი იტალიური სამუსიკო სკოლის ნაწარმოებია და ამ გვარ ოპერებში ერთი უკეთესთაგანი. ჩვენმა იტალიელმა არტისტებმა ეს ოპერა მშვენიერად შეასრულეს. მართალია, ხმის სიძლიერეს და სილაზათეს შესახებ ამ არტისტებს ზოგიერთი ცოტაოდენი ნაკლულევანება ეტყობათ, მაგრამ ხმა კარგად აქვსთ შემუშავებული, დიდის გემოვნებით მღერიან და მშვენიერად თამაშობენ, მეტადრე ქ. სიუნებერგი და ბ. ჯაკომელოქოს. სიუნებერგს თაიგული მიართვეს.

—

იტალიის ცნობილს მწერალს გაბრიელ ანუნციოს დაუწერია ახალი დრამა „La citta morta“. ამ დრამას მომავალ წლის იანვარში წარმოადგენენ. უმთავრესს როლს ითამაშებს სარა ბერნარი. გარდა ამისა ანუნციო კიდევ ორს ახალს დრამას სწერს. ერთს მათგანს სახელად ეწოდება „Il ferro“.

---

## სასამართლოს მატიანე.

—

### ქუთაისის საოლქო სასამართლოს განყოფილება ოზურგეთში.

ამ დღეებში აქ განარჩია სასამართლომ ფრიად საინტერესო საქმე მუდმივი გაქურდვისა და საქონლის გატანისა საქონლით დატვირთულ ვაგონებიდგან კავკასიის რკინის გზაზედ.

ეს საქმე ბრალდებოდა ერთ-ერთ საქონლის მატარებლების კონდუქტორების ბრიგადას. წაღებული ყოფილა 20 ცალი საქონლისა და ვაგონისთვისაც განგებ ცეცხლი გაუჩენიათ. ამათთან ერთად სასამართლო აბრალებდა ქურდობაში დახმარებას ყველა გზის მცველებს.

სხდომაზე საქმე აიხსნა ამ გვარათ: როდესაც მატარებელი მოდიოდა ბათომიდგან თბილისისაკენ, ჩაქვის სადგურთან შეამჩნიეს საქონლის დასაწყობ ვაგონში ცეცხლი. მიიღეს ყოველი ზომა და ცეცხლი მალე ჩააქრეს. ზარალი ცოტა მომხდარიყო. როდესაც საქონლის ცალები მოთვალეს, 20 ცალი აღარ გამოჩნდა. მაშინვე ეჭვი აიღეს კონდუქტორებზედ და გზის მცველებზედ. ალბათ ესენი პირ-შეკრულნი არიან და კონდუქტორები გზაზედ ავდებენ საქონლის ცალებს და მცველები კი მალავენო.

ჟანდარმერიამ და პოლიციამ მიიღო ზომა, დაათვალიერეს რკინის გზის ლიანდაგი და მისი გარემო, მაგრამ ვერაფერი იპოვეს, ლიანდაგზედ არსად აღმოჩნდა იმისი კვალი, რომ სადმე საქონლის ცალი დაეგდოთ... თუმცა ეს კვალი უსათუოდ უნდა დატყობოდა მიწაზედ, რადგან თითო ცალი არა ნაკლებ 10—12 ფუთის სიმძიმისა იყო.

ამ საქმისათვის დაბარებულ იყო ორმოცამდე მოწმე, გზის სადგურების რამდენიმე უფროსი, მორიგი აგენტები და გზის ოსტატები. ამათი ჩვენებით დამტკიცდა, რომ კონდუქტორებსა და გზის მცველებ შორის თანხმობა ამ საქმეში შეუძლებელია, რადგან ნახევარის საათით წინ აცნობებენ კონდუქტორებს, რომელს მატარებელს უნდა გაჰყვნენ და მომეტებულ შემთხვევაში კონდუქტორებმა არც იციან, მიაქვთ მატარებელით საქონელი თუ არა. მხოლოდ უფროს კონდუქტორს გადასცემენ საქონლის სიას მატარებლის სწორედ გამოსვლის დროს. ამას გარდა, იმ დღეს ყველა ბრალდებული კონდოქტორები უნდა გაჰყოლოდნენ ცარიელ მატარებელს, მაგრამ სადგურის უფროსის ბრძანებით ეს წესი უცბათ შეიცვალა და საქონლის მატარებელს გააყოლეს... ყველა ამით მტკიცდებოდა, რომ ბრალდებული კონდუქტორები წინდაწინვე ამ საქმეს ვერ მოისაზრებდნენ.

სასამართლომაც ამ მხრივ შეხედა საქმეს და ყველა ბრალდებულნი გაამართლა.

მაგიერ ამ საქმის გარჩევამ აღმოაჩინა შემდეგი: თვით ბათუმში არსებობს მთელი ბრბო ავაზაკებისა, მუშებთაგან, საქონლის შემტან-გამომტანთაგან და მწანავებისაგან შემდგარი. ნამდვილ ეს ბრბო არის, რომ სცარცვავს საქონელს თვით ბათუმის სადგურზედ—საქონლის მაგიერ შიგ ვაგონებში შეაქვთ უბრალო რამით გავსებული ცალები და იქვე ნელ ცეცხლს გააჩენენ ეს ცეცხლი გაძლიერდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მატარებელი ბათუმიდამ გამოვა და ერთს ორ ვერსს გაივლის.

ბათომში მომხდარა ასეთი შემთხვევაც, რომ ერთხელ მთელი ვაგონი სიმინდით დატვირთული დაიკარგა და ერთხელაც 17 ფუთი ტანისამოსის მაგიერ ქუთაისის ერთმა ვაჭარმა მიიღო რაღაც ნაგლეჯნაფლეთი ჩვრები...

---

## განცხადებანი

20 ნოემბერს, 1896 წ., საღამოს 8 საათზედ ტფილისის სომხურ ნერსესიან სასულიერო სემინარიის მზრუნველთა საბჭოში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა კუთვნილი სემინარიის 3 თვალ დუქანზე სარდაფით, ეზოთი და საჯინიბოთი იჯარით გაცემაზე. შენობა მდებარეობს იარმუკის ახლო, სამჭედლო ქუჩაზე. პირობების შეტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში უქმე დღეების გარდა ყოველ-დღე, დილის 10—2 საათამდე.

—

ტფილისის სომხურ ნერსესიან სასულიერო სემინარიის მზრუნველთა საბჭოში ამ თვის 20-ში საღამოს 8 საათზედ დანიშნულია სემინარიის კუთვნილ მამულზე საჯარო ვაჭრობა, მდებარე რიყეზე № 46. ამ ჟამად მამული იჯარას იძლევა 400 მან. წელიწადში. პირობების ნახვა შეიძლება საბჭოს კანცელარიაში კვირაუქმეებს გარდა ყოველ-დღე დილის 10—2 საათამდე.